ვიქტორინა 2014–2015

ნახევარფინალური ტურის შესახებ

2015 წლის 28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა „ვიქტორინა-2014–2015“-ის ნახევარფინალური ტური X-XII კლასების მოსწავლეებისთვის. ვიქტორინაში, რომელიც ტარდება გუნდური პრინციპით, მონაწილეობა მიიღო 26 სკოლის გუნდმა.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებმა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს შესარჩევი ტურის შემდეგ, რომელიც 2014 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა თბილისის და საქართველოს რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების 84 გუნდს შორის.

ნახევარფინალურ ტურში მოსწავლეებმა პასუხი გაცეს 18 შეკითხვას. აქედან. 3–3 შეკითხვა იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია), ხოლო 3 შეკითხვა – თსუ შესახებ. მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობა და ქულათა რაოდენობა დამოკიდებული იყო შეკითხვის სირთულეზე. ქულების დაჯამებით ხდებოდა შემდგომ ეტაპზე გასულთა გამოვლენა.

ვიქტორინის შედეგები მოსწავლეებს და მათ გულშემატკივრებს გააცნო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა. ნახევარფინალური ტურის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი

შესარჩევ ტურში მონაწილე 26 გუნდიდან, 10 გუნდი გადავიდა ფინალურ ტურში, რომელიც გაიმართება 2015 წლის მაისში.

ვიქტორინას ესწრებოდა კავშირის მდგრადი განვითარებისათვის „ეკოხედვა“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო სულხანიშვილი. ქალბატონი ნინოს ინტერესი ვიქტორინისადმი განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ მისი ორგანიზაციის ერთ–ერთი მთავარი მიზანია მოზარდ თაობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა დარგების პოპულარიზაცია.

ნახევაფინალური ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ ქალბატონმა ნინომ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზაცია „ეკოხედვის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების (შემეცნებითი და ინტელექტუალური ტურები, ეკობანაკები, კონფერენციები, სატელევიზიო ვიქტორინები, გამოფენები, დისკუსიები, დასუფთავებისა და ხეების დარგვის აქციები, საერთაშორისო გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა და სხვ.) შესახებ და გამარჯვებული მოსწავლეები მიიწვია ყოველკვირეულ გარემოსდაცვით სატელევიზიო გადაცემაში „ეკოვიზია“.